

საქართველოს კანონი

“სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების
შეტანის შესახებ

მუხლი 1. “სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის (სსმ., 2001 წ., #18, მუხ. 58) მე-5 მუხლის პირველ პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა) საგადასახადო და საბაჟო ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელებულ:

ა.ა) გეგმურ ან კამერალურ შემოწმებებზე;

ა.ბ) საკონტროლო შემოწმებებზე, რომელთა მიზანია გადასახადის ზედმეტად გადახდილი თანხის წარმოშობის სისწორის განსაზღვრა

ა.გ) საგადასახადო კოდექსის 156-ე მუხლის მე-3 ნაწილის “დ” ქვეპუნქტისა და 159-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ” ქვეპუნქტის საფუძველზე ჩატარებულ შემოწმებებზე.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.